# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 აგვისტო 2008 №186 (3410) ფასი 50 თეთრი

# ოქრო არ არის ტკივილის წამალი, ოქრო სხვა რამის ნიშანია:

# ჩვენ ვართ და უნდა ვიყოთ!








# საქართველო იარსებებს!

როგორ უნდა იფიქრო ოლიმპიადაზე, როცა საუკუნოვანი მტერი ქვეყანას გიბომბავს და მერე გასაძარცვავად აძლევს ნაძირალა გადამთიელს?! ადამიანი ხარ, გული გაქვს და ტკივილი შიგ ქვასავით გიდევს. საერთოდ მოდიოდნენ ქართველები ოლიმპიადიდან და ვინ ოხერი გაამტყუნებდა? მაგრამ დარჩნენ, ძალა მოიკრიბეს და გაუტეხელობით ერი გაამხნევეს. ამაზე მეტად, ამაზე ლამაზად, ვერას არგებდნენ და ვერ გაათბობდნენ მგლოვიარე ქვეყანას!

გმირია მანუჩარ კვირკველია და გმირია ირაკლი ცირეკიძე! გმირები არიან საქაც და რთველოც, ბრაზილიელები, რომლებმაც, მგონი, ერთადერთ ქართული სიტყვა იციან და ისიც სახელად დაირქვეს. ამ უტეხ გოგონებშიც ქართული სული ჩასახლებულა. მჯერა, მათ გუშინ ყველა ქართველთან ერთად დაამარცხეს რუსები!

და ირაკლი ცირეკიძე? რას უნდა გავეხარებინეთ ამ შავ დღეებში ასე ძლიერ?! ფაშისტმა პუტინმა თუ ნახა, როგორ დაალურსმნა ტატამს რუსი ქართველმა ბიჭმა? ირაკლი ცირეკიძე მსოფლიოში ერთია და საუკეთესო! მანუჩარ კვირკველია მსოფლიოში ერთია და საუკეთესო! მაგრამ ასეთი ბიჭები უამრავი ჰყავს საქართველოს და სანამ ისინი იმარჯვებენ, სანამ მსოფლიო ისმენს მათ პატივსაცემად აჟღერებულ ჰიმნს და შესქერის მათ თავზე აღმართულ ხუთჯვრიან დროშას, საქართველო იარსებებს!

# მანუჩარ და ირაკლი!
## თქვენ ოლიმპიურ ჩემპიონობაზე მეტი შეძელით
# გმადლობთ!
## ჩვენი ოქროც კი ძაძებშია

**რვა** დღეა, რაც ჩვენი ქვეყანა ომის ქარცეცხლშია გახვეული. სისხლი, ცრემლი, ნგრევა, ტკივილი და რაღაც კიდევ უფრო ცუდის მოლოდინი...

მაშინ, როცა მილიარდობით გულშემატკივარი პეკინის ოლიმპიადას მისჩერებია, პატარა საქართველო დიდ გველეშაპს ებრძვის. ეს ბრძოლა ცოტა სხვანაირი, სხვებისგან განსხვავებულია. ამ ბრძოლას თავისი გმირებიც ჰყავს, ქართველი ჯარისკაცები! ქართველი ვაჟკაცები და ჩვენ გვეამაყება მათი!

და კიდევ, ქართველი ოლიმპიელები! გუშინ პეკინში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ კვირკველიამ (74 კგ) და ძიუდოისტმა ირაკლი ცირეკიძემ (90 კგ) საქართველო ოლიმპიური ჩემპიონობით გაახარეს!

გუშინ საქართველოში გლოვის ცრემლს სიხარულის ცრემლი შეერია, ხალხს გული გაუმაგრდა, იმედი მიეცა და რწმენა გაუღვივა, რომ ჩვენი ქვეყანა ისევ ძლიერია და არავის არასდროს არაფერს დაუთმობს.

ეს გამარჯვება მთელი საქართველოს გამარჯვებაა, ჩვენი სულისკვეთების წარმოჩენა და მტრისთვის შეხსენება, რომ ქართველი მხოლოდ ლოცვის დროს იჩოქებს!

13 აგვისტო აუცილებლად შევა საქართველოს ისტორიაში და არა მხოლოდ სპორტულში. ამ ბიჭებმა სასწაული მოახდინეს, სასწაული იმიტომ, რომ იქ, პეკინში მხოლოდ მეტოქეები არ დაუმარცხებიათ. საკუთარ თავს აჯობეს, უდიდეს ზეწოლას, ნერვიულობას გაუძლეს და ჩემპიონები გახდნენ. მათ იცოდნენ, თუ როგორ ფასობდა გამარჯვება დღევანდელ ვითარებაში, მათ იცოდნენ მოგების ფასი და ის, თუ როგორ ელოდა ქართველი ხალხი ამ წარმატებას.

პეკინში ქართული ჰიმნი პირველმა მანუჩარ კვირკველიამ ააჟღერა და ხალხი ფეხზე წამოაყენა. კვირკველიას ჩემპიონობას უკვე ათენის ოლიმპიადაზე სთხოვდნენ, თუმც მაშინ უნიჭიერეს მოჭიდავეს ნერვებმა უმტყუნა და ბრძოლას თავიდანვე გამოეთიშა. გუშინ კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას გამჩერებელი ოლიმპიადაზე კაცი არ გამოჩნდა. მანუჩარმა ოლიმპიური ოქრო ისე მოიგო, მეტოქეებისთვის მცირე შანსიც არ მიუცია. ფრანგი კრისტოფ ჟენოა, გერმანელი კონსტანტინ შნეიდერი და უნგრელი პეტერ ბატსი მიანგრია და ფინალში გავიდა, სადაც ჩინელ იონგ ქსიანგ ჩანგს დაუპირისპირდა.

ათასობით ჩინელი გულშემატკივრის შეძახილი საჭიდაო დარბაზს აზანზარებდა, მაგრამ ჩვენი ფალავანი ისე უშიშრად და დამაჯერებლად იდგა, რომ თავიდანვე ეტყობოდა, ჩინელს მინიმალური შანსიც არ ჰქონდა. პირველი წუთი ქულის გარეშე გაილია, ჩოქბჯენში კვირკველია ჩადგა, თუმცა მეტოქეს უმალ წამოუდგა და ქულაც აიღო. როცა ჩინელი პარტერში ჩადგა, მანუჩარმა ის ბავშვივით აიტაცა და 5-ქულიანზე გადააგდო.

მეორე სეტიც ქართველის უპირატესობით წარიმართა ჩოქბჯენიდან ისევ დროულად ადგა და თავის ცდაზე გადაატრიალა კიდეც...

ერთ რამედ ღირდა დროშით ხელდამშვენებული კვირკველიას ხილვა და საქართველოს ჰიმნის მოსმენა...

ჯერ ისევ ემოციებში ვიყავით, რომ გავიგეთ, ირაკლი ცირეკიძემ ნახევარფინალში რუსი ევროპის ჩემპიონი ივან პერშინი დაამარცხაო და მაშინ გენახათ ჩვენი სიხარული. ცირეკიძის გამოსვლა კვირკველიას ფინალს დაემთხვა და ამიტომ შეხვედრა ჩანაწერის სახით ვნახეთ. ცირეკიძემ პერშინს ჯერ ორი კოკა აართვა და მერე იპონით მოუგო. თუმც იპონიცაა და იპონიც, ირაკლიმ რუსი შებოჭვაზე დაიჭირა და ხელი არ გაანძრევინა. პერშინი უშანსოდ იწვა და წინააღმდეგობის გაწევას არც ფიქრობდა... ვგონებთ, ეს გამარჯვება კიდევ ერთი ოქროს ტოლფასია...

მანამდე ქართველმა ზედმეტი ნერვიულობის გარეშე ეგვიპტელ ჰასამ მესჰაბს მოუგო, ზედ აზერბაიჯანელი ელქან მამადოვი ჩაროხად დააყოლა, რუსი უკვე ვთქვით და ფინალში ირაკლის ყველასთვის უცნობი და უტიტულო ალჟირელი ამარ ბენიჰლეფი ელოდა. ალჟირელის იქ გასვლა ისედაც გასაკვირი იყო და სასწაული თუ მოხდებოდა, თორემ ცირეკიძის მოგება ის ნამდვილად არ ჩანდა. ქართველმა ჩვეულად, საოცარი სიზუსტით და მაქსიმალური კონცენტრაციით ჩაამთავრა მთელი შეხვედრა ისე, როგორც საერთოდ სჩვევია, მეტოქე გააფრთხილებინა და საქმე ჩემპიონობამდე მიიყვანა...

მანუჩარ კვირკველიამ საჩემპიონო გზა ულამაზესი, ეშხიანი ჭიდაობით განვლო.

ირაკლი ცირეკიძემ საოცარი სიზუსტე და თავდაცვის უნარი გამოავლინა.

ისიც ვთქვათ, რომ ერთ დღეს ორი ოლიმპიური ოქრო საქართველოს აქამდე ერთხელ მოუგია. 1952 წელს ჰელსინკში რაფაელ ჩიმიშკიანმა და მირიან ცალქალამანიძემაც ერთ დღეს მოიგეს ოლიმპიური ოქროები. ოღონდაც, ისინი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ, დამოუკიდებლობის მერე კი ერთ დღეში ორი ოქრო პირველად მოვიგეთ!

ირაკლი ცირეკიძე პირველი ქართველი ძიუდოისტი გახდა, ვინც მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიგო.

და ერთიც — დაჯილდოების ცერემონიალზე ირაკლი ცირეკიძე შავი ლენტით გავიდა რუსი აგრესორების მიერ დახოცილ თანამემამულეთა გლოვის ნიშნად...

**ლექსო მაისურაძე**

P.S. გუშინ საღამოს რუსულ გაზეტა.რუ-ზე რომ შევედით, ირაკლი ცირეკიძისგან რუსი ფალავნის შებოჭვაზე ინფორმაციაში ასეთი რამაც ეწერა: ქართველმა ჩვენიანს რომ მოუგო, ხელებით ზურგზე დაწერილ **GEO**-ზე მიუთითა ხალხსო.




ირაკლი ცირეკიძემ რუს ივან პერშინს ნახევარფინალში ლამის კისერი მოტეხა, მანუჩარ კვირკველიამ კი ფინალში ჩინელი ქსიანგ ჩანგის ძლევით პეკინში ქართული დროშა პირველმა აღამართინა



# დიახ, თქვენ ქართველებთან დამარცხდით!





ქახა გერიძე
პეკინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

**არც** კი ვიცი, რეპორტაჟის წერა რით დავიწყო, სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, ემოციებისგან დაცლილი ვარ...

ვიცი, რომ ნახევარი საათის ინტერვალში ქართული სპორტისთვის, უპირველესად კი ჩვენი ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, მაგრამ ამის ბოლომდე გათვითცნობიერებას ჯერ ვერ ვახერხებ...

მთავარი პრესცენტრისკენ მიმავალ ავტობუსში ავდივარ. დამგზავრებული ჟურნალისტები მილოცავენ და მეუბნებიან, ოქროს მედლები დღეს არც ერთი ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელობის არ არის, როგორც საქართველოსთვისო.

მერე იმაზე ვიწყებ ფიქრს, მანუჩარ კვირკველიას და ირაკლი ცირეკიძის მშობლიურ ქალაქებში, ოზურგეთსა და ქუთაისში როგორ დახვდებიან ქართველ გმირებს...

თითოეული ჩვენთაგანისთვის ეს სევდანარევი სიხარულია და ამის მიზეზებსაც ახსნა აღარ უნდა. იმაშიც ვრწმუნდები, რომ გადაწყვეტილება ოლიმპიადაზე დარჩენის შესახებ გამართლებული იყო.

13 აგვისტო უდიდესი დღე გამოდგა ქართული სპორტის ისტორიაში. ოლიმპიურ თამაშებში ერთ საშეჯიბრო დღეს ორი ოქროს მედლის მოპოვებას ბარე ორი ჩვენზე ღონიერი სახელმწიფო ვერ ახერხებს-ხოლმე. საქართველომ კი ეს, უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, შეძლო!

უნდა გენახათ, რა გახევებული სახეებით უყურებდნენ რუსები მანუჩარის და ირაკლის ტრიუმფალურ ასპარეზობას, როგორი გადასატანია მათთვის, მეოთხე საშეჯიბრო დღის მერე ოქროს მედლების რაოდენობით რომ გავუთანაბრდით.

... დილიდან განსაკუთრებული განწყობა მქონდა. ვგრძნობდი, რომ დღეს ჩვენს გუნდში რაღაც გარდამტეხი უნდა მომხდარიყო, ქართული დელეგაციის სხვა წევრთა თვალებშიც იგივე განცდას ამოიკითხავდით და პეკინის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სპორტული დარბაზის საჭიდაო ხალიჩაზე მანუჩარ კვირკველიას პირველი ბრძოლის მერე, ფრანგი კრისტოფ გუენოტის რომ დაამარცხა, ვიგრძენი, რომ რამდენიმე საათში, მართლაც წარუშლელი სიხარული გველოდა... შემართება, ჟინი, გამარჯვების წყურვილი — ყველაფერი ეს იყო, ხოლო როდესაც მანუჩარმა გერმანელი კონსტანტინ შნეიდერიც ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა, ვეღარავინ გადამარწმუნებდა, რომ მანუჩარი, შესაძლოა, ჩემპიონი ვერ გამხდარიყო.

... 8-ათასიანი არენა წამში დადუმდა, მხოლოდ რამდენიმე ათეული ქართველის ყიჟინა ისმოდა, როდესაც კვირკველიამ ფინალში მასპინძელი ფალავანი უშანსოდ დაამარცხა. დარბაზში მყოფი თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები გვილოცავდნენ — რა თქმა უნდა, რუსების გარდა.

„ყოველი ორთაბრძოლის წინ მხოლოდ საქართველოზე ვფიქრობდი. ამიტომაც ვცდილობდი, თავი ხელში ამეყვანა და მაქსიმალურად მობილიზებული ვყოფილიყავი. ოლიმპიური ჩემპიონობა ყველა სპორტსმენის უდიდესი ოცნებაა, თუმცა განსაკუთრებულ სიხარულს ვერ განვიცდი. მხოლოდ ის მახარებს, რომ ამ ძნელბედობის ჟამს ჩემი ხალხი ოდნავ მაინც გავახარე — თქვა მანუჩარმა პრესკონფერენციაზე.

ირაკლი ცირეკიძე დღის მეორე გმირი გახდა. ძიუდოს დარბაზში შეკრებილი მაყურებელი თავიდანვე რუსი პერშინისა და ჩვენებურის ორთაბრძოლის მოლოდინში იყვნენ. აშკარად ჩანდა, რომ მაყურებელი ირაკლისადმი მეტი სიმპათიით იყო განწყობილი და მისი ჩემპიონობაც დარბაზში უმრავლესობას გაუხარდა.

ბუნებრივია, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ნახევარფინალში სწორედ რუსის დამარცხებას.

„სპორტის და პოლიტიკის ერთად ყოფნა შეუძლებელია, მაგრამ იმ წუთებში წარმოვიდგინე, რომ მე მხოლოდ სპორტსმენს არ ვებრძოდი, ჩემს უკან ქართველი ხალხი იდგა და ამ გამარჯვებასაც მათ ვუძღვნი“ — თქვა ცირეკიძემ.

ალბათ შეამჩნევდით, რომ დაჯილდოვების ცერემონიალზე ირაკლი ცირეკიძე შავი ლენტით გამოვიდა და ეროვნული ჰიმნის შესრულებისას გულზე მიიდო. „ეს ოქროს მედალი ამ ომის დროს დაღუპულ ქართველებსაც ეძღვნება“ — იტყვის იგი მოგვიანებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა პლაჟის ფრენბურთში. ქალთა შორის საქართველოს მიერ რუსეთის დამარცხებამ უდიდესი ინტრიგა გამოიწვია. „ჩვენ საქართველოსთან არ დავმარცხებულვართ, შეხვედრა ბრაზილიელებთან დავთმეთ“ — გაცხარებულებმა თქვეს რუსმა სპორტსმენებმა ჟურნალისტებთან საუბრისას, რაზეც მყის პასუხიც მიიღეს: „ორი წელია, საქართველოს დროშით გამოვდივართ და პეკინშიც საქართველოს წარმოვადგენთ. ტაბლოზე დაფიქსირდა, რომ სწორედ საქართველომ დაამარცხა რუსეთი და არა რომელიმე სხვა ქვეყანამ. ჩვენთვის ეს დიდი სიხარულია“ — თქვეს პრესკონფერენციაზე კრისტინამ და ანდრეზამ. ეს პრესკონფერენცია საათნახევარს გაგრძელდა.

მათ ვაჟმა ფრენბურთელებმა აუბეს მხარი ანგოლის გუნდთან მოგებით და ორივემ რეპეშაჟი გაინაღდეს. იმედია, ხვალ მერვედფინალში გავლენ.

დღევანდელი დღეც არანაკლებ დატვირთული იქნება. ძიუდოში ლომერ ჟორჟოლიანი ცდის ბედს, მშვილდოსნობაში ხათუნა ნარიმანიძე მექსიკელ მოწინააღმდეგეს დაუპირისპირდება, ხოლო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რამაზ ნოზაძე და ბადრი ხასაია იბრძოლებენ ოქროსთვის. მათ ეს ნაღდად შეუძლიათ.







# ᲡᲐᲥᲐ-ᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲓᲐᲡᲔᲢᲧᲕᲐ

**ᲞᲚᲐᲟᲘᲡ** ფრენბურთში ჯგუფის ბოლო მატჩში საქა-რთველომ რუსი დუეტი ურიადოვა-შირიაევა დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა! აბა, როდის იყო, ქართველს რუსის დამარცხება ორმაგად არ გახარებოდა, მაგრამ ახლა, როცა ადამიანი დაზაფრული ზის და ყოველი დღე აცრემლებულ ქალებსა და ბავშვებს უყურებს, ეს გამარჯვება გულზე მალამოსავით გვხვდება.

საქა და რთველოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსთა წყვილს საოცარი მონდომებით, ჟინითა და, ზედმეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, თავგანწირვით ეთამაშნენ, რათა გამარჯვება მოეპოვებინათ.

არადა, დასაწყისს საჩვენო ვერაფრით ეთქმოდა. პირველი სეტი უშანსოდ, 21:10 რუსებმა მოიგეს და, საერთოდ, გამარჯვებასთანაც ახლო იყვნენ, მეორე სეტში ორმაგი მატჩპოინტი ჰქონდათ, თუმც ჩვენებმა ნერვების ომში გაიმარჯვეს, პატარა სასწაული მოახდინეს და 22:20 მოიგეს. აი, მესამე გადამწყვეტი სეტი კი მთლიანად საქა-რთველოს დომინირებით წარიმართა და ჩვენებმა 15:12 მიანგრიეს რუსები, თან ისე, რომ იმათი კორტი დასეტყვეს და რუსები ბურთის აქეთ-იქით დევნაში, ჩინურ ქვიშაში ამოგანგლეს.

ქალთა დარად მოიგეს ბიჭებმაც. C ჯგუფში გეორგიამ მთლიანად ტურნირის აუტსაიდერ ანგოლის ნაკრებს იოლად 21:14, 21:13 გადაურბინა და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ისინიც ინარჩუნებენ.

ახლა ჩვენი ორივე წყვილი პლეი ოფში ჩაებმება, ორი უკეთესი მესამეადგილოსანი პირდაპირ გადის პლეი ოფში, ხოლო დანარჩენი მესამეადგილოსნები ორ საპლეიოფო საგზურს ერთმანეთში გაითამაშებენ. ჯგუფის ბოლო მატჩები კი დღეს ჩათამაშდება და ჩვენების მეტოქეებიც გაირკვევა.

**ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲑᲐᲫᲔ**



საქა





რთველო

**ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲙᲐᲪᲔᲑᲘ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| მესა-ერერა (ესპანეთი) | 2 | 2 | 0 | 4 |
| ვუ-ხუ (ჩინეთი) | 2 | 2 | 0 | 4 |
| ვესიკი-კაისი (ესტონეთი) | 2 | 0 | 2 | 0 |
| გოში-ჰორსტი (ავსტრალია) | 2 | 0 | 2 | 0 |
| **B ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| პლავნისი-სამოლოვსი (ლატვია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| დალჰაუზერი-როჯერსი (აშშ) | 3 | 2 | 1 | 4 |
| ჰაუკმერი-ჰეიერი (შვეიცარია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ბარასეტი-კონდე (არგენტინა) | 3 | 1 | 2 | 2 |
| **C ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| რიკარდო-ემანუელი (ბრაზილია) | 2 | 2 | 0 | 4 |
| სხალკი-სლაკი (ავსტრალია) | 2 | 2 | 0 | 4 |
| გეორ-გია (საქართველო) | 3 | 1 | 2 | 2 |
| აბრეუ-ფერნანდესი (ანგოლა) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **D ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| გარტმაიერი-დოპლერი (ავსტრია) | 2 | 2 | 0 | 4 |
| კოლოდინსკი-ბარსუკი (რუსეთი) | 2 | 1 | 1 | 2 |
| არაუჯო-მაგალაეში (ბრაზილია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| ლიონე-ამორე (იტალია) | 2 | 0 | 2 | 0 |
| **E ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| ნუმერდორი-სხუილი (ჰოლანდია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| ლასიგა-შნეიდერი (შვეიცარია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| კორინგი-კლემპერერი (გერმანია) | 3 | 1 | 2 | 4 |
| სკარლუნდი-კემპერუდი (ნორვეგია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **F ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| როზენტალი-გიბი (აშშ) | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბრინკი-დიკმანი (გერმანია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| ასახი-შირატორი (იაპონია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| რონე-ბორესმა (ჰოლანდია) | 2 | 0 | 2 | 0 |

**ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲥᲐᲚᲔᲑᲘ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **A ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| ჟი-ჟია (ჩინეთი) | 3 | 3 | 0 | 6 |
| მაასეიდე-გლესნესი (ნორვეგია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| ბრეედამი-მუხა (ბელგია) | 3 | 1 | 2 | 2 |
| შვერი-კუნი (შვეიცარია) | 3 | 0 | 3 | 0 |
| **B ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| უოლში-ტრანორი (აშშ) | 2 | 2 | 0 | 4 |
| ფერნანდესი-ლარია (კუბა) | 2 | 1 | 1 | 2 |
| ტორლეანი-ჰაკედალი (ნორვეგია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| საიკი-კასუჰარა (იაპონია) | 2 | 0 | 2 | 0 |
| **C ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| კუკი-ბარნეტი (ავსტრალია) | 3 | 3 | 0 | 6 |
| პაულა-ლარისა (ბრაზილია) | 3 | 2 | 1 | 4 |
| საქა-რთველო (საქართველო) | 3 | 1 | 2 | 2 |
| ურიადოვა-შირაევა (რუსეთი) | 3 | 0 | 0 | 0 |
| **D ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| ცანი-ხუე (ჩინეთი) | 2 | 2 | 0 | 4 |
| კუტრუმანიდუ-ციარციანი (საბერძნეთი) | 2 | 1 | 1 | 2 |
| გოლერი-ლუდვიგი (გერმანია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| აუგუსტიდაისი-ნელი (ს. აფრიკა) | 2 | 0 | 2 | 0 |
| **E ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| იანგი-ბრანა (აშშ) | 2 | 2 | 0 | 4 |
| რაუ-პოლი (გერმანია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| კრესპო-ესტევესი (კუბა) | 2 | 1 | 1 | 2 |
| მურენი-კადიკი (ჰოლანდია) | 2 | 0 | 2 | 0 |
| **F ᲯᲒᲣᲤᲘ** | | | | |
| რიბეირო-როშე (ბრაზილია) | 2 | 2 | 0 | 4 |
| ს. შვაიგერი-დ. შვაიგერი (ავსტრია) | 2 | 1 | 1 | 2 |
| გარსია-კანდელასი (მექსიკა) | 2 | 1 | 1 | 2 |
| არვანიტი-კარანტასიუ (საბერძნეთი) | 2 | 0 | 2 | 0 |

# ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔᲛ 25 ᲛᲔᲢᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲕᲘᲐᲜᲡ ᲐᲐᲪᲘᲚᲐ

**ᲩᲕᲔᲜᲡ** ოლიმპიელებს ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ პეკინის ოლიმპიადაზე პირველი მედალი მოუტანა, ბრინჯაო აილო და გუშინ უკვე 25 მეტრიდან სპორტული დამბაჩით სროლაში მოსინჯა ძალები, თუმც ფინალში საუკეთესო 8 მსროლელში შესვლა ვერ მოახერხა და საბოლოოდ მე-16 ადგილს დასჯერდა.

საწყისი სროლების შემდეგ ნინო სალუქვაძე 292 ქულით მეორე ადგილზე იყო. აი, სწრაფი სროლების სერიაში კი სასურველი შედეგი ნამდვილად არ ჰქონდა, 288 ქულა აილო, ჯამში 580 დაუგროვდა და, როგორც ვთქვით, მე-16 ადგილზე გავიდა.

აქ ჩემპიონობა არავის დაუთმო ჩინელმა ინგჩენმა (793,4), ვინც ოლიმპიურ რეკორდსაც გამოჰკრა ხელი. ვერცხლის მედალი მონღოლმა გუნდეგმა ოტრიადიმ დაისაკუთრა (792,2), ბრინჯაოსანი კი გერმანელი მუნტბაირ დორქსურენი გახდა (789,2).

**ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲑᲐᲫᲔ**

# ᲮᲐᲡᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ, ᲜᲝᲖᲐᲫᲔᲡ ᲙᲘ ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ** ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას კვალზე, დღეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირში კიდევ ორი ქართველი ჩაებმება — 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბადრი ხასაია და 96-ში — რამაზ ნოზაძე.

გუშინდელი კენჭისყრის შედეგად ხასაია პირველ წრეში ისვენებს, მომდევნოში კი მისი მეტოქე გამოცდილი თურქი ფალავანი რაზმი ავლუჩა იქნება. ამ ოსმალოს ოლიმპიურ თამაშებზე ორჯერ უჭიდავია, თუმცა მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მისი უმთავრესი მიღწევა შორეულ 1999 წელს იყო, როცა ავლუჩა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ის ასევე გახლავთ სამგზის ევროპის ჩემპიონი.

თუკი ავლუჩას აჯობა, ხასაიას მომდევნო მეტოქე ან უკრაინელი ალექსანდრ დარაგანი, ანაც ირანელი სამან ტაჰმასები იქნება.

ხასაიასგან განსხვავებით შედარებით უსახელო მეტოქე ერგო გასული ოლიმპიადის ფინალისტს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ რამაზ ნოზაძს, რომელიც პირველი წრიდან ასევე თავისუფალია. მისი მეტოქეა ბერძენი თეოდოროს ტუსუნიდისი, რომლის დაჯაბვნის შემთხვევაში 96-კილოიან ქართველ ფალავანს მეოთხედფინალში ან ჩეხი მარეკ სვეკი, ანაც ბულგარელი კალოიან დინჩევი შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ ათენის ოლიმპიადაზე ნოზაძის დამმარცხებელი ეგვიპტელი ქარამ გაბერი ჩვენს ფალავანს ნახევარფინალამდე არ ხვდება, თუ, რა თქმა უნდა, ორივე მათგანმა წარმატებით დაძლია ყველა მანამდელი ბარიერი. სავარაუდო მეტოქეები ვახსენეთ და ბარემ ვთქვათ, რომ ნოზაძის ბადეში არიან რუსი ასლანბეკ ხუშტოვი, თურქი მეჰმეთ ოზალი და ნოზაძისგან 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ნაგვემი ლიტველი მინდაუგას ეზერსკისი.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ**

ᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲛᲝᲒᲘᲮᲡᲜᲘᲗ

ᲢᲠᲘᲛᲝᲚᲘ

ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ, ᲨᲐᲙᲘᲙᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲜᲡᲢᲠᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲜᲔᲕᲠᲐᲚᲒᲘᲐ, ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ-ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.




ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ № R0003702

➤ ᲡᲘᲪᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲕᲘ
➤ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲒᲐᲛᲐᲧᲣᲩᲔᲑᲔᲚᲘ
➤ ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ

ᲐᲯᲐᲜᲢᲐ ᲤᲐᲠᲛᲐ ᲚᲘᲛᲘᲢᲔᲓᲘ – ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲢᲠᲘᲛᲝᲚᲘ

PSP ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ
ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 148

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

# აქეთ ზვიგენი, იქით ვეშაპი
## მაიკლ ფელპსის 11 ოქრო ორ ოლიმპიადაზე



მაიკლ ფელპსმა სათვალე ცუდად მოირგო და ჩახტომისას ლამის წაძვრა, მაგრამ მაინც რეკორდით მოიგო

**რეკორდები** არ ელევათ მოცურავეებს, თითქოს ისინი განუსაზღვრელი ოდენობით ჰქონდეთ უხილავ აბგაში შენახული და როცა უნდა, ვისაც უნდა, ჩაყოფს ხელს და ამოიღებს. სინამდვილეში, ყველაფერი არც ასე მარტივად და იოლადაა და ნებისმიერი რეკორდის დამხობას წინ უძღვის წლობით მძიმე შრომა, რასაც მხოლოდ ერთეულები უძლებენ. ეგაა, პეკინში მაინც ყოველდღიურ და ყოველსაათობრივ მოვლენად იქცა ცურვის რეკორდი.

13 აგვისტოს მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა ისევე, როგორც სხვა დღეებში, მაგრამ ერთბაშად ექვსმა რეკორდმა იფეთქა. ჯერ ჩემპიონ რეკორდსმენებზე:

მაიკლ ფელპსის გარეშე აბა, როგორ ჩაივლიდა ეს ხმაურიანი ამბავი? მას აქამდე სამი ოქრო მოეპოვებინა, სამივე რეკორდის თანხლებით, ოთხშაბათს კიდევ ორი დაამატა, ესენიც რეკორდებით მოავარაყა და ოლიმპიადების ასწლოვან ისტორიაში ყველა დროის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი შეიქნა, თუ წარმატებულობას ოქროთა სიმრავლით შევაფასებთ. 2004 წელს ათენში მას ექვსი ოქრო მოერეწა, პეკინში ხუთი დაამატა და გადაასწრო 9-9 ოქროთი მოამაყე სპორტსმენებს, რომელთა შორისაც მისი თანამემამულენი, მოცურავე მარკ სპიცსი და მძლეოსანი კარლ ლუისიც არიან. ფელპსისა და სპიცის ოლიმპიური სპორტული პაექრობის ამბით ხომ ყველას ყურები გვაქვს გამოჭედილი, მაგრამ ისტორიული ბრძოლაა და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: 1972 წელს მიუნხენში სპიცმა შვიდი ოქრო მოიპოვა, შვიდივე რეკორდით, რითაც ერთი დიდი რეკორდი დაამყარა. ფელპსს კი პეკინში რვა ოქროსთვის დაუდგამს თვალი და ჯერჯერობით იდეალურად მიიწევს სანუკვარი მიზნისკენ — ხუთი უკვე მისია, თავისი ხუთი რეკორდით.

რაც შეეხება ოთხშაბათის შენამატს, 23 წლის ამერიკელმა კაცმა-ამფიბიამ ჯერ თავისი საყვარელი 200 მეტრი ბატერფლაი მოიგო, მერე კი სამ თანამემამულესთან ერთად, 4X200 ესტაფეტაც დაიპყრო.

ბატერფლაის ფინალში წყალში ჩახტომის წინ ფელპსმა სათვალე მჭიდროდ ვერ მოირგო, ჩახტომისთანავე სანახევროდ წასძვრა და წყლით გაევსო, მაგრამ ორიენტაცია და სისწრაფე შეინარჩუნა და უნგრელ ლასლო ჩეხთან გაცხარებულ შეჯიბრში 0,06 წამი ჩამოაჭრა შარშან მელბურნში დამყარებულ საკუთარ რეკორდს — 1.52,03.

გაშლილ წყალში არა მიჭირდა რა, მაგრამ კედლებთან კი ცუდ დღეში ვვარდებოდი, წყლით სავსე სათვალეები ვერ მიწევდნენ კარგ სამსახურსო — ჩიოდა ამერიკელი მოგვიანებით.

ცოტა ხანში დადგა 4X200 ესტაფეტის ჯერიც. ფელპსი პირველ კაცად იდგა ამერიკულ ოთხეულში და თავიდანვე ისეთი უპირატესობა მოუპოვა ზურგსუკან გამწკრივებულებს, რომ იანკების გამარჯვებაში ერთი წამით არავინ დაეჭვებულა. საბოლოოდ ფელპსმა, რაიან ლოტჩემ, რიკ ბერენსმა და პიტერ ვანდერკააიმ 800 მეტრი 6 წუთსა და 58,56 წამში დაფარეს და ამ სახეობაში პირველები ჩამოსცილდნენ 7-წუთიან ფანტასტიკურ ზღვარს. მეორე ადგილზე გასული რუსები ჩემპიონ-რეკორდსმენებმა ხუთ წამზე მეტით ჩატოვეს აუზში.

საცურაო დღეს ოქროს გარეშე არ ჩაუვლია არც ავსტრალიის მრავალმხრივ ნიჭიერი ნაკრებისთვის. ოზები იანკებს ალბათ ვერ დაათმობინებენ აკვა-ცენტრში პირველობას, მაგრამ გარანტირებული და მყარი მეორე ადგილი კი ალალ-მათია. ოთხშაბათს ავსტრალიის სამ საცურაო ოქროს მეოთხე მიამატა სტეფანი რაისმა, ვინც 200 მეტრი კომბინირებული 2.08,45 დროში მოიგო და ორიოდ თვის წინ დამყარებულ საკუთარ რეკორდს 0,47 წამი ჩამოაკლო. სხვათა შორის, მეორეზე გასულმა ზიმბაბველმა კირსტი ქოვენთრიმაც აჯობა რაისის ძველ რეკორდს — 2.08,59 შედეგით მან დამსახურებული ვერცხლი მოიპოვა, რაც მისთვის და მისი ქვეყნისთვის ამ ოლიმპიადაზე უკვე მესამეა.

გამარჯვება ასევე რეკორდით გაილამაზა ფედერიკა პელეგრინიმ. თავისუფალი სტილით საშუალო დისტანციებზე მოცურავე იტალიელ გოგონას ამასწინათ 400 თავისუფალი მეტრის ფინალი ჩაუფლავდა, პეკინში ამ სახეობის რეკორდსმენად ჩავიდა, მაგრამ სამეულშიც ვერ მოხვდა, ახლა კი მან დანაკარგი 200 მეტრზე ამოიღო, რომელიც 1.54,82 შედეგით და ძველ რეკორდთან 0,63-წამიანი უპირატესობით მოიგო. მისი ქვეყნის სპორტის ისტორიაში ეს უნიკალური მოვლენაა, აქამდე იტალიელ ქალს ოლიმპიური ოქრო არასდროს მოეპოვებინა. პელეგრინის მიჰყვნენ სლოვენიელი ევროჩემპიონი სარა ისაკოვიჩი და ჩინელი ძიაინ პანი. ჩინელი მოცურავეებისთვის ეს უკვე მეორე მედალია, რასაც ბევრი ნამდვილად არ ელოდა.

ოთხშაბათს ზედიზედ ორი რეკორდი გამოცხვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ორ ნახევარფინალში. პირველ ნახევარფინალში ფრანგმა „მობი დიკმა“ ალან ბერნარმა 47,20 შედეგით მოხსნა საკუთარივე მიღწევა, რამდენიმე წუთში კი მეორე ნახევარფინალში მის შედეგს 0,15 წამი „მოაკბიჩა“ ავსტრალიელმა ზვიგენმა იმონ სალივანმა, ვინც რამდენიმე თვის წინ ფრანგს 50 მეტრის რეკორდიც ჩამოართვა. დიდად საინტერესო უნდა გამოვიდეს ფინალში ამ ორის და კიდევ, ბებერი ჰოლანდიელი ჩემპიონის პიტერ ვან დერ ჰუგენბანდის ცქერა. სხვებიც კარგები არიან, თუნდაც 4X100 ესტაფეტის ამერიკელი გმირი, ვეტერანი ჯეისონ ლეზაკი. ფელპსმა კი თავიდანვე შორს დაიჭირა ამ ზეპრესტიჟული სახეობისგან, სადაც ფინალური გაცურვის რვავე მონაწილე ძალზე ამბიციურია.

**ირაკლი ფირაშვილი**

### ქვეყნები და მედლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 17 | 5 | 5 | 27 |
| აშშ | 10 | 8 | 11 | 29 |
| სამხ. კორეა | 6 | 6 | 1 | 13 |
| გერმანია | 6 | 1 | 2 | 9 |
| იტალია | 4 | 4 | 3 | 11 |
| ავსტრალია | 4 | 2 | 6 | 12 |
| იაპონია | 4 | 2 | 3 | 9 |
| რუსეთი | 2 | 7 | 3 | 12 |
| დიდი ბრიტანეთი | 2 | 2 | 3 | 7 |
| **საქართველო** | 2 | - | 1 | 3 |
| ჩეხეთი | 2 | - | - | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 7 | 3 | 11 |
| ჩრდ. კორეა | 1 | 2 | 4 | 7 |
| აზერბაიჯანი | 1 | 2 | - | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 3 | 5 |
| რუმინეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | - | 2 |
| შვეიცარია | 1 | - | 3 | 4 |
| ფინეთი | 1 | - | 1 | 2 |
| ესპანეთი | 1 | - | 1 | 2 |
| ინდოეთი | 1 | - | - | 1 |
| ტაილანდი | 1 | - | - | 1 |
| ზიმბაბვე | - | 3 | - | 3 |
| კუბა | - | 2 | 1 | 3 |
| უნგრეთი | - | 2 | 1 | 3 |
| შვედეთი | - | 2 | - | 2 |
| ალჟირი | - | 1 | 1 | 2 |
| ავსტრია | - | 1 | 1 | 2 |
| ყაზახეთი | - | 1 | 1 | 2 |
| ყირგიზეთი | - | 1 | 1 | 2 |
| კოლუმბია | - | 1 | - | 1 |
| მონღოლეთი | - | 1 | - | 1 |
| ნორვეგია | - | 1 | - | 1 |
| სლოვენია | - | 1 | - | 1 |
| თურქეთი | - | 1 | - | 1 |
| ვიეტნამი | - | 1 | - | 1 |
| უკრაინა | - | - | 4 | 4 |
| სომხეთი | - | - | 3 | 3 |
| ბრაზილია | - | - | 3 | 3 |
| ბელარუსი | - | - | 2 | 2 |
| ტაივანი | - | - | 2 | 2 |
| ინდონეზია | - | - | 2 | 2 |
| არგენტინა | - | - | 1 | 1 |
| ბულგარეთი | - | - | 1 | 1 |
| ხორვატია | - | - | 1 | 1 |
| ეგვიპტე | - | - | 1 | 1 |
| მექსიკა | - | - | 1 | 1 |
| ტაჯიკეთი | - | - | 1 | 1 |
| ტოგო | - | - | 1 | 1 |
| უზბეკეთი | - | - | 1 | 1 |



ფედერიკა პელეგრინი



სტეფანი რაისი



გუნდეგმაა ოტრიადმა მონღოლებს პირველი ჩინური მედალი მოუპოვა

# კვარცხლბეკი

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

66 კგ

1. სტივ-ფრანსუა გუენო (საფრანგეთი)
2. კანატბეკ მეგალიევი (ყირგიზეთი)
3. არმენ ვარდანიანი (უკრაინა)
3. მიხაილ სიმეონუ (ბელარუსი)

73 კგ

18. **მანუჩარ კვირკველია** (საქართველო)
2. იონქსიანგ ჩენი (ჩინეთი)
3. კრისტოფ-რენე გუენო (საფრანგეთი)
3. იავორ იანაკიევი (ბულგარეთი)

## ძიუდო

ქალები. 70 კგ

1. მასაე უენო (იაპონია)
2. ანაუსი ერნანდესი (კუბა)
3. რონდა როუზი (აშშ)
3. ედიტ ბოში (ჰოლანდია)

კაცები. 90 კგ

1. **ირაკლი ცირეკიძე** (საქართველო)
2. ამარ ბენიხლეფი (ალჟირი)
3. ჰეშამ მერბაჰი (ეგვიპტე)
3. სერგეი აშვარდენი (შვეიცარია)

## ცურვა

ქალები. 200 მ. კომბინირებული

| | |
|---|---|
| 1. სტეფანი რაისი (ავსტრალია) | 2.08,45 (მსოფ. რეკორდი) |
| 2. კრისტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) | 2.08,59 |
| 3. ნიკოლ კულინი (აშშ) | 2.10,34 |

ქალები. 200 მ თავისუფალი

| | |
|---|---|
| 1. ფედერიკა პელეგრინი (იტალია) | 1.54,82 (მსოფ. რეკორდი) |
| 2. სარა ისაკოვიჩი (სლოვენია) | 1.54,97 |
| 3. იაინ პენგი (ჩინეთი) | 1.55,05 |

კაცები. 200მ ბატერფლაი

| | |
|---|---|
| 1. მაიკლ ფელპსი (აშშ) | 1.52,03 (მსოფ. რეკორდი) |
| 2. ლასლო ჩეხი (უნგრეთი) | 1.52,70 |
| 3. ტაკეში მაცუდა (იაპონია) | 1.52,97 |

კაცები. 4X200მ თავისუფალი

1. აშშ (მაიკლ ფელპსი, რაიან ლოჰტე, რიკი ბერენსი, პიტერ ვანდერვეი) 6.58,56 (მსოფ. რეკორდი)

2. რუსეთი (ნიკიტა ლობინცევი, ევგენი ლაგუნოვი, დანილა იზოტოვი, ალექსანდრ სუხარუკოვი) 7.03,70

3. ავსტრალია (პატრიკ მერფი, გრანტ ჰეკეტი, გრანტ ბირტსი, ნიკ ფტროსტი) 7.04,98

## სროლა

ქალები. სპორტული პისტოლეტი. 25 მ

| | |
|---|---|
| 1. იინ ჩენი (ჩინეთი) | 793,4 (585+208,4) |
| 2. გუნდეგმაა ოტრიადი (მონღოლეთი) | 792,2 (590+202,2) |
| 3. მურკბაიარ დორჟსურენი (გერმანია) | 789,2 (587+202,2) |

## ფარიკაობა

ქალები. დაშნა. პირადი

1. ბრიტა ჰაიდემანი (გერმანია)
2. ანა-მარია ბრანზა (რუმინეთი)
3. ილდიკო მინზა-ნებალდი (უნგრეთი)

კაცები. რაპირა. პირადი

1. ბენჯამინ-ფილიპ კლებრინკი (გერმანია)
2. იუკი ოტა (იაპონია)
3. სალვატორე სანცო (იტალია)

## სპორტული ტანვარჯიში

ქალები. გუნდური

1. ჩინეთი (ფაი ჩენგი, იუიუან იანგი, შანშან ლი, იინ იანგი, ლირინ დენგი, კეჰინ ჰი) 188,900

2. აშშ (შეინ ჯონსონი, ნასტია ლუკინი, ჩელსი მეიმლი, სამანტა პეზეკი, ალისია საკრამენი, ბრიჯიტ სლოენი) 186,525

3. რუმინეთი (სტელანა ნისტორი, სანდრა იზბასა, ანდრეა აკატრინაი, ანდრეა გრიგორე, ოსტრელა დრაგოი, ანამარია ტამირიანი) 181,525

## წყალში ხტომა

კაცები. წყვილები. 3-მეტრიანი ტრამპლინი

| | |
|---|---|
| 1. კაი ქანი, ფენ ვანგი (ჩინეთი) | 469,08 |
| 2. იური კუნაკოვი, დმიტრი საუტინი (რუსეთი) | 421,96 |
| 3. ილია კვაშა, ოლექსეი პრიგოროვი (უკრაინა) | 415,05 |

## საგზატკეცილო ველორბოლა

ქალები. ინდივიდუალური რბოლა. 23,5 კმ

| | |
|---|---|
| 1. კრისტინ არმსტრონგი (აშშ) | 34.51,72 |
| 2. ემა პული (დიდი ბრიტანეთი) | 35.16,01 |
| 3. კატრინ ტარიგი (შვეიცარია) | 35.50,99 |

კაცები. ინდივიდუალური რბოლა. 47,3 კმ

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია) | 1:02.11,43 |
| 2. გუსტავ ლარსონი (შვედეთი) | 1:02.44,79 |
| 3. ლევი ლეიფჰემერი (აშშ) | 1:03.21,11 |

## ძალოსნობა

ქალები. 69 კგ

| | |
|---|---|
| 1. ჩუნჰონგ ლიუ (ჩინეთი) | 286 (მსოფ. რეკორდი; 128+158) |
| 2. ოქსანა სილვენკო (რუსეთი) | 255 (115+140) |
| 3. ნატალია დავიდოვა (უკრაინა) | 250 (115+135) |

კაცები. 77 კგ

| | |
|---|---|
| 1. იე იუოკ სა (სამხრ. კორეა) | 366 (163+203) |
| 2. ჰონგლი ლი (ჩინეთი) | 366 (168+198) |
| 3. გევორქ დავთიანი (სომხეთი) | 360 (165+195) |

## კალათბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

ლატვია — ბრაზილია 79:78; რუსეთი — ბელარუსი 71:65; ავსტრალია — სამხრეთ კორეა 90:62

*ავსტრალია, რუსეთი 3-3 მოგება; ლატვია, ბელარუსი, სამხრ. კორეა 1-1; ბრაზილია 0*

**B ჯგუფი**

ესპანეთი — ჩეხეთი 74:55; ჩინეთი — ახალი ზელანდია 80:63; აშშ — მალი 97:41

*აშშ — 3 მოგება; ესპანეთი, ჩინეთი 2-2; ჩეხეთი, ახალი ზელანდია 1-1; მალი 0*

## ხელბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

რუმინეთი — საფრანგეთი 34:26; ჩინეთი — ანგოლა 32:24; ნორვეგია — ყაზახეთი 35:19

*ნორვეგია, რუმინეთი 6-6 ქულა; საფრანგეთი 4; ჩინეთი 2; ანგოლა, ნორვეგია 0-0*

**B ჯგუფი**

რუსეთი — ბრაზილია 28:19; სამხრეთ კორეა — შვედეთი 31:23; უნგრეთი — გერმანია 25:24

*რუსეთი, უნგრეთი, სამხრ. კორეა 5-5 ქულა; გერმანია 2; ბრაზილია 1; შვედეთი*

## ფრენბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის III ტური

**A ჯგუფი**

აშშ — ვენესუელა 3:1 (25:17, 20:25, 25:14, 25:18); კუბა — ჩინეთი 3:2 (18:25, 14:25, 25:23, 32:30, 15:13); იაპონია — პოლონეთი 3:2 (25:21, 25:20, 18:25, 23:25, 15:11)

*კუბა 3 მოგება; ჩინეთი, იაპონია, აშშ 2-2; პოლონეთი, ვენესუელა 0-0*

**B ჯგუფი**

იტალია — ალჟირი 3:0 (25:7, 25:20, 25:12); რუსეთი — ყაზახეთი 3:0 (25:19, 25:18, 25:11); ბრაზილია — სერბეთი 3:0 (25:15, 25:13, 25:23)

*ბრაზილია, იტალია 3-3 მოგება; სერბეთი 2; რუსეთი 1; ყაზახეთი, ალჟირი 0-0*

## წყალბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის II ტური

**A ჯგუფი**

აშშ — იტალია 9:9; ჩინეთი — რუსეთი 13:11

*ჩინეთი 4 ქულა; იტალია 3; აშშ 1; რუსეთი 0*

**B ჯგუფი**

უნგრეთი — ავსტრალია 7:7; ჰოლანდია — საბერძნეთი 9:6

*უნგრეთი, ავსტრალია 3-3 ქულა; ჰოლანდია 2; საბერძნეთი 0*

## ბალახის ჰოკეი

კაცები. ჯგუფური ეტაპის II ტური

**A ჯგუფი**

კორეა — ჩინეთი 5:2; ესპანეთი — ახალი ზელანდია 1:0; გერმანია — ბელგია 1:1

*ესპანეთი 4 ქულა; გერმანია 3; ახალი ზელანდია, სამხრ. კორეა 2-2; ბელგია 1; ჩინეთი 0*

**B ჯგუფი**

ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა 10:0; პაკისტანი — კანადა 3:1; ჰოლანდია — დიდი ბრიტანეთი 1:0

*ავსტრალია, ჰოლანდია 4-4 ქულა; პაკისტანი, დიდი ბრიტანეთი 2-2; სამხრეთ აფრიკა, კანადა 0-0*

## სოფტბოლი

ჯგუფური ეტაპის II ტური

ჩინეთი — ვენესუელა 7:1; აშშ — ავსტრალია 3:0; იაპონია — ტაივანი 2:1; კანადა — ჰოლანდია 9:2

*ჩინეთი, აშშ, იაპონია, კანადა 2-2 მოგება; ვენესუელა, ავსტრალია, ტაივანი, ჰოლანდია 0-0*

## ბეისბოლი

ჯგუფური ეტაპის I ტური

ტაივანი — ჰოლანდია 5:0; კანადა — ჩინეთი 10:0; სამხრეთ კორეა — აშშ 8:7; კუბა — იაპონია 4:2



კორეელმა ბეისბოლისტებმა ამერიკელები დაამარცხეს

# თამაშების განრიგი

## 14 აგვისტო, ხუთშაბათი

**მშვილდოსნობა**

ქალები, პირადი — 1/8 ფინალი, 1/4 ფინალი, 1/2 ფინალი, ფინალი

**ბადმინტონი**

კაცები, პირადი — 1/4 ფინალი

კაცები, წყვილები — 1/4 ფინალი

**ბეისბოლი**

ჯგუფური ეტაპის II ტური

**კალათბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**პლაჟის ფრენბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის მატჩები

ქალები — რეპეშაჟი

კაცები — ჯგუფური ეტაპის მატჩები

კაცები — რეპეშაჟი

**ფრენბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**კრივი**

64 კგ — 1/8 ფინალი

69 კგ — 1/8 ფინალი

81 კგ — 1/8 ფინალი

**სანიჩბოსნო სლალომი**

ქალები — კაიაკი (ბაიდარა) — ნახევარფინალი, **ფინალი**

კაცები, წყვილები — კანოე — ნახევარფინალი, **ფინალი**

**ცხენოსნობა**

გაწვრთნა — გუნდური — **ფინალი**

გაწვრთნა — პირადი — კვალიფიკაცია

**ფარიკაობა**

ქალები — ხმალი, გუნდური — **ფინალი**

**სპორტული ტანვარჯიში**

კაცები, პირადი — მრავალჭიდი — **ფინალი**

**ხელბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**ბალახის ჰოკეი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**ძიუდო**

ქალები — 78 კგ — **ფინალი**

კაცები — 100 კგ — **ფინალი**

**ნიჩბოსნობა**

ნახევარფინალური გაცურვები

**აფროსნობა**

ქალები — ინგლინგი — მე-9 და მე-10 გაცურვები

ქალები — ვინდსერფი — მე-5 და მე-6 გაცურვები

ქალები — ლაზერი — მე-5 და მე-6 გაცურვები

კაცები — ლაზერი — მე-5 და მე-6 გაცურვები

კაცები — ვინდსერფი — მე-5 და მე-6 გაცურვები

მიქსტი — ფინი — მე-9 და მე-10 გაცურვები

მიქსტი — 49 — მე-11 და მე-12 გაცურვები

**სროლა**

ქალები — მცირეკალიბრიანი შაშხანა. სამი პოზიციის ჯამი. 50 მ — ფინალი

ქალები — სკეიტი (მრგვალი სტენდა) — ფინალი

**სოფტბოლი**

ჯგუფური ეტაპის III ტური

**ცურვა**

ქალები — 200მ ბატერფლაი — ფინალი

ქალები — 4X200მ თავისუფალი — ფინალი

ქალები — 100მ თავისუფალი — ნახევარფინალი

ქალები — 200მ ბრასი — ნახევარფინალი

ქალები — 800მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

ქალები — 200მ გულაღმა — კვალიფიკაცია

კაცები — 100მ თავისუფალი — ფინალი

კაცები — 200მ ბრასი — ფინალი

კაცები — 200მ გულაღმა — ნახევარფინალი

კაცები — 200მ კომბინირებული — ნახევარფინალი

კაცები — 50მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

კაცები — 100მ ბატერფლაი — კვალიფიკაცია

**წყალბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის III ტური

**ჩოგბურთი**

ქალები, პირადი — 1/4 ფინალი

ქალები, წყვილები — 1/4 ფინალი

კაცები, პირადი — 1/4 ფინალი

კაცები, წყვილები — 1/2 ფინალი

**მაგიდის ჩოგბურთი**

ქალები, გუნდური — ჯგუფური ეტაპის მატჩები

კაცები, გუნდური — ჯგუფური ეტაპის მატჩები

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

84 კგ — კვალიფიკაცია, ფინალი

96 კგ — კვალიფიკაცია, ფინალი

120 კგ — კვალიფიკაცია, ფინალი

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**პეკინის** ოლიმპიური თამაშების გამო ATP-სა და WTA-ტურის ეგიდით ტურნირები პრაქტიკულად არ ტარდება, მაგრამ რეიტინგებში ცვლილები, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაინც ხდება, ისევ და ისევ ამ ოლიმპიადისა და მასთან დაკავშირებული, შარშანდელთან შედარებით შეცვლილი კალენდრის გამო.

ეს ცვლილებები ქართველ ჩოგბურთელებს, რომლებიც კლასიფიკაციების ქვედა ასეულებში არიან და ძირითადად ნაკლებად პრესტიჟულ ტურნირებზე თამაშობენ, ნაკლებად ეხება. ჩვენიანებს თავიანთი კარუსელი აქვთ და ამ კარუსელში სულ დაბლა-დაბლა ეშვება ლადო ჩიხლაძე, რომელიც წლეულს ქრონიკული ტრავმების გამო პრაქტიკულად ვერ თამაშობს და შარშან მოპოვებული სარეიტინგო ქულების დაცვას ვერ ახერხებს.

აგერ, გასულ კვირაშიც ლადომ მორიგი ქულები დაკარგა, ერთბაშად 136 საფეხურით დაბლა დაიწია და ცოტა ხანში საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსს, ალბათ ისევ ირაკლი ლაბაძე დაიბრუნებს, რომელიც პირიქით, ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ ჯანზეა და ძველი, დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობს.

ჩიხლაძის უკანდახევასთან ერთად სამწუხარო სიახლეა ისიც, რომ ATP-ის რეიტინგიდან ამოვარდნენ გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე. შედეგად, კაცთა კლასიფიკაციაში ექვსი ქართველიღა დარჩა, ხოლო ქალთა რეიტინგში კვლავაც 11 ჩვენიანია და მათ პოზიციებს, თუ სოფო მელიქიშვილის მოულოდნელ წინსვლას არ ჩავთვლით, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

**კაცები**

679 (139) ლადო ჩიხლაძე ---------- 27
692 (+19) ირაკლი ლაბაძე ---------- 26
982 (+8) ლაზარე კუხალაშვილი ---------- 9
1063 (+9) ნოდარ ითონიშვილი ---------- 7
1541 (-1) დემეტრე თაქთაქიშვილი ---------- 1
1541 (-1) ბექა ბუჩუკური ---------- 1

**ქალები**

212 (0) მაკა ჩახნაშვილი ---------- 139
218 (-1) ანა ტატიშვილი ---------- 137
283 (-1) სოფო შაფათავა ---------- 90
490 (-2) თინა ყავლაშვილი ---------- 34
522 (0) ოქსანა კალაშნიკოვა ---------- 31
591 (+2) მანანა შაფაქიძე ---------- 24
654 (-2) სალომე დევიძე ---------- 19
674 (0) სოფო ქვაცაბაია ---------- 18
735 (-1) ეკა გორგოძე ---------- 14
943 (-4) მაგდა ოქრუაშვილი ---------- 6
949 (+72) სოფო მელიქიშვილი ---------- 6

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6330 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 6305 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4905 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2915 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2805 |
| 6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2300 |
| 7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2020 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1930 |
| 9. ენდი როდიკი (აშშ) | 1860 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1650 |
| 11. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1575 |
| 12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1390 |
| 13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1385 |
| 14. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1350 |
| 15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1340 |
| 16. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1300 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1290 |
| 18. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1265 |
| 19. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1260 |
| 20. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1235 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1100 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 744 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 701 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 387 |
| 5. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 380 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 322 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 279 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 271 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 251 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 238 |
| 11. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 225 |
| 12. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 219 |
| 13-14. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 200 |
| 13-14. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 200 |
| 15. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 192 |
| 16-17. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 187 |
| 16-17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 187 |
| 18. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 184 |
| 19. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 183 |
| 20. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 182 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3725 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3613 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3505 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 3251 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3131 |
| 6. დინარა საფინა (რუსეთი) | 2892 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2842 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2496 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2076 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2041 |
| 11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1977 |
| 12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1778 |
| 13. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1685 |
| 14. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1624 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1562 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1546 |
| 17. ფლავია პენეტა (იტალია) | 1350 |
| 18. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1244 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1204 |
| 20. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1172 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2880 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2821 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 2590 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 5. დინარა საფინა (რუსეთი) | 2428 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2052 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1931 |
| 8. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1777 |
| 9. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1766 |
| 10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1560 |
| 11. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1148 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1120 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1076 |
| 14. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1068 |
| 15. ფლავია პენეტა (იტალია) | 1057 |
| 16. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1032 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1015 |
| 18. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 975 |
| 19. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 890 |
| 20. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 878 |

# დელ პოტრო ვილასის ნაკვალევზე

**კაცები**

ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 508 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — დენის გრემელმაიერი (გერმანია) 6:2 6:2; ხუან მარტინ დელ პოტრო (3, არგენტინა) — მარდი ფიში (6, აშშ) 6:2 6:1**

**ფინალი**

**დელ პოტრო — როდიკი 6:1 7:6**

არგენტინის საჩოგბურთო ნაკრების თავკაცები ალბათ მწარედ ნანობენ, რომ ხუან მარტინ დელ პოტრო საოლიმპიადო განაცხადში არ შეიყვანეს. 19 წლის აყლაყუდა არგენტინელი დიდებულ ფორმაშია, რაც ლოს ანჯელესშიც დაამტკიცა, სადაც ზედიზედ მესამე ტურნირი მოიგო და მოგებათა სერია 14 მატჩამდე აიყვანა. წლეულს ერთბაშად ამდენი არავის მოუგია, რაფაელ ნადალის 32 მატჩიან სუპერსერიას თუ არ ჩავთვლით.

თანაც ჰარდზე იმარჯვა, რაც მისთვის სიახლე გახლდათ — წინა ორი ტრიუმფი, შტუტგარტსა და კიცბიუელში, მან თიხნარზე გადაიხადა. ყველაზე აღსანიშნავი კი ის არის, რომ სამხრეთამერიკელმა ფინალში ტურნირის უპირობო ფავორიტი ენდი როდიკი დაამარცხა.

როდიკზე კი რა შეიძლება ითქვას — ჩინეთში არ გაემგზავრა და ოლიმპიადაზე ამერიკის სახელის დაცვაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ აშშ-ს ღია პირველობისთვის მომზადება უნდოდა. მაგრამ, როგორც ხედავთ, ენდი-ბიჭი ამ კუთხითაც მოიკოჭლებს და საერთოდ შთაბეჭდილება იქმნება, რომ როდიკი სულ უფრო უკლებს და მალე ერთ რიგით მეჩოგნედ იქცევა.

უშუალოდ ეს შეხვედრა კი როდიკმა ძალიან ცუდად დაიწყო. განთქმული მოწოდება არ წაუვიდა და პირველ სეტში ერთბაშად სამჯერ დააბრეიკეს (არადა, წინა სამ შეხვედრაში ეს ვერავის მოეხერხებინა). მეორე პარტიაში როდიკმა იმდენი შეძლო, რომ მოწოდება არ დაუთმია, მაგრამ მიღებზე ჩვეულად უხეიროდ ითამაშა და საქმე ტაიბრეიკამდეც მივიდა. აქ ამერიკელი 2:1 კი დაწინაურდა, მაგრამ დელ პოტრომ ზედიზედ 6 გათამაშება მოიგო და იანკი ცხვირჩამოშვებული დატოვა.

„მატჩის წინ მისი მოწოდება ძალიან მაშინებდა, მაგრამ თავიდან ეს კომპონენტი არ გამოსდიოდა და ამან მაგრად მიშველა. მართლაც კარგ ფორმაში ვარ და იმედია, მომავალში კიდევ მოვუმატებ“ — ხარობდა ნამატჩევს დელ პოტრო, რომელიც პირველი არგენტინელია ლეგენდარული გილერმო ვილასის შემდეგ, ვინც ამერიკულ ჰარდზე ტურნირის მოგება შეძლო.

**ბახა ლომაშვილი**





# იანკოვიჩი პირველია

**ეს უკვე** ოფიციალური ამბავია — ელენა იანკოვიჩი მსოფლიოს პირველი ჩოგანია. უკვე წინა კვირას იყო ცნობილი, რომ 11 აგვისტოს იანკოვიჩი ქალთა ჩოგბურთის მწვერვალზე ავიდოდა, მაგრამ ამის ოფიციალურად გაფორმება მაინც განსაკუთრებული შეგრძნებაა და ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ სერბს სიხარულისგან ხმა უკანკალებდა:

„ეს ხომ ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. მართლაც უდიდესო მიღწევაა, თანაც ისეთი, რომელსაც ვერავინ ვერასდროს წაგართმევს — სამუდამოდ ისტორიაში შევედი და მომავალში როგორადაც არ უნდა დავქვეითდე, ყოველთვის როგორც ექსპირველ ჩოგანს, ისე მომიხსენიებენ. თუმც ჯერჯერობით პოზიციების დათმობას არ ვაპირებ და ვეცდები, ეს ტიტული მაქსიმალურად დიდხანს შევინარჩუნო“.

იანკოვიჩმა თანამემამულე ანა ივანოვიჩი ჩაანაცვლა, რომელიც ქალთა რეიტინგს 9 კვირის (9 ივნისიდან 10 აგვისტომდე) განმავლობაში მეთაურობდა. სხვათა შორის, ელენა მხოლოდ მე-18 ქალი მეჩოგნეა, ვისაც მსოფლიოს პირველი ნომრობა ეღირსა და ისეთ კომპანიაში მოხვდა, სადაც კრის ევერტი, ივონ გულგონგი, ტრეისი ოსტინი, მარტინა ნავრატილოვა, არანჩა სანჩეს-ვიკარიო, მონიკა სელეში, შტეფი გრაფი, მარტინა ჰინგისი, სერენა უილიამსი, ვინუს უილიამსი, ჟუსტინ ენინი, ჯენიფერ კაპრიატი, კიმ კლაისტერსი, ლინდსი დევენპორტი, ამელი მორესმო, მარია შარაპოვა და ანა ივანოვიჩი არიან.

**ბახა ლომაშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 33 | ბოლტონი-სტოკი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 18:00 | 34 | ასტონ ვილა-სიტი | 1.95 | 3.20 | 3.90 | 1.21 | 1.29 | 1.75 |
| 15:45 | 35 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.20 | 5.70 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 18:00 | 36 | ვესტ ჰემი-უიგანი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 37 | ჰალი-ფულემი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 18:00 | 39 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2.90 | 3.20 | 2.35 | 1.52 | 1.29 | 1.35 |
| 18:00 | 40 | სანდერლენდი-ლივერპული | 5.50 | 3.30 | 1.65 | 2.06 | 1.26 | 1.10 |
| 18:00 | 41 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 16:30 | 32 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 19:00 | 38 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.27 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.19 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 42 | სუონსი-ნოტინგემი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 43 | უოტფორდი-ჩარლტონი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 44 | ბარნსლი-ქოვენტრი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 18:00 | 45 | ვულვერჰემპტონი-უენსდი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 20:20 | 46 | ბრისტოლი-დერბი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 47 | ბარნლი-იფსვიჩი | 2.35 | 3.25 | 2.85 | 1.36 | 1.28 | 1.51 |
| 18:00 | 48 | დონკასტერი-კარდიფი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 18:00 | 49 | ნორვიჩი-ბლეკპული | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 18:00 | 50 | პრესტონი-კრ. პალასი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 18:00 | 51 | რიდინგი-პლიმუთი | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 18:00 | 52 | შეფილდი-ქპრ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 53 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 54 | სტოკპორტი-ლესტერი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 55 | ტრანმერი-ჰარტლპული | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 56 | ბრაიტონი-როვერსი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 18:00 | 57 | უელსოლი-სკანთორპი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 58 | კარლაილი-ქრიუ | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 59 | ჩელტენემი-სუინდონი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 60 | კოლჩესტერი-ჰადერსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 61 | ჰარეფორდი-იოვილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 62 | ლიდსი-ოლდემი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 63 | მილუოლი-საუთენდი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 64 | დონსი-ნორთჰემპტონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 65 | პიტერბრო-ლეიტონი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 66 | ნოტსი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 67 | პორტ ვეილი-აკრინგტონი | 1.65 | 3.50 | 4.55 | 1.12 | 1.21 | 1.97 |
| 18:00 | 68 | ალდერშოტი-ბორნმუთი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 69 | როჩდეილი-ბარნეტი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 18:00 | 70 | ბრენტფორდი-გრიმსბი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 18:00 | 71 | ჩესტერი-უიკომბი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 18:00 | 72 | ჩესტერფილდი-ბერი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 73 | ექსეტერი-შრიუსბერი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 18:00 | 74 | ჯილინგემი-ლუტონი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 75 | ლინკოლნი-დაგ ენდ რედი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 18:00 | 76 | მაკლსფილდი-ბრედფორდი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 77 | მორიკომბი-როტერჰემი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 89 | იორკი-რექსემი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 90 | ბარტონი-უოკინგი | 1.65 | 3.50 | 4.55 | 1.12 | 1.21 | 1.97 |
| 18:00 | 91 | მენსფაილდი-კიდერმინსტერი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 18:00 | 92 | ალტრინჰემი-კეტერინგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 93 | ლეი-სელისბერი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 94 | იორკი-ჰისტონი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 95 | გრეისი-ნორთვიჩი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 96 | სტივენეიჯი-ვეიმუთი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 18:00 | 97 | ფორესტ გრინი-ქროული | 2.25 | 3.25 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 98 | რაშდენი -რექსემი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 99 | კემბრიჯი-ბეროუ | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 100 | ტორკი-ებსფლითი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 122 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 18:00 | 123 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 125 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 126 | ინვერნესი-ჰამილტონი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 18:00 | 127 | მოზერუელი-აბერდინი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 124 | დანდი იუნ.-სელტიკი | 5.00 | 3.70 | 1.55 | 2.12 | 1.18 | 1.09 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 128 | ერდრი-დანდი | 3.40 | 3.50 | 1.85 | 1.72 | 1.19 | 1.21 |
| 18:00 | 129 | კლაიდი-როსი | 2.30 | 3.40 | 2.65 | 1.37 | 1.23 | 1.48 |
| 18:00 | 130 | მორტონი-ლივინგსტონი | 2.30 | 3.40 | 2.55 | 1.37 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 131 | სტ.ჯონსტონი-დანფერმლაინი | 1.85 | 3.40 | 3.55 | 1.19 | 1.21 | 1.73 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 132 | ქუინი-პარტიკი | 2.15 | 3.50 | 2.80 | 1.33 | 1.21 | 1.55 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 133 | ალოა-რეითი | 2.60 | 3.50 | 2.25 | 1.49 | 1.20 | 1.36 |
| 18:00 | 134 | ეარი-არბროთი | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 18:00 | 135 | ბრეჩინი-პიტერჰედი | 2.10 | 3.50 | 2.80 | 1.31 | 1.20 | 1.55 |
| 18:00 | 136 | ისტ. ფაიფი-ქუინზ პარკი | 1.65 | 3.60 | 4.35 | 1.13 | 1.19 | 1.96 |
| 18:00 | 137 | სტრანრარი-სტირლინგი | 2.55 | 3.50 | 2.30 | 1.47 | 1.20 | 1.38 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 138 | ანანი-ისტ. სტირლინგი | 2.35 | 3.40 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 139 | ბერიკი-დამბარტონი | 2.30 | 3.50 | 2.55 | 1.38 | 1.20 | 1.47 |
| 18:00 | 140 | კოუდენბითი-ალბიონი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 141 | ფორფარი-ელგინი | 1.90 | 3.40 | 3.55 | 1.21 | 1.23 | 1.73 |
| 18:00 | 142 | სტენჰაუზმური-მონტროუზი | 2.05 | 3.60 | 2.90 | 1.30 | 1.20 | 1.60 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 143 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.55 | 3.70 | 6.20 | 1.09 | 1.24 | 2.31 |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 17:30 | 144 | შალკე-ჰანოვერი | 1.60 | 3.60 | 5.25 | 1.10 | 1.22 | 2.13 |
| 17:30 | 145 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.55 | 3.60 | 6.20 | 1.08 | 1.24 | 2.27 |
| 17:30 | 146 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| 17:30 | 148 | კარლსრუე-ბოხუმი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 17:30 | 149 | კოტბუსი -ჰოფენჰაიმი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 150 | არმინია-ვერდერი | 3.70 | 3.40 | 1.90 | 1.77 | 1.25 | 1.21 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 147 | აინტრახტი-ჰერტა | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 19:00 | 151 | გლადბახი-შტუტგარტი | 2.55 | 3.25 | 2.65 | 1.42 | 1.29 | 1.45 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 152 | ალემანია-ვეენი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 20:00 | 153 | ზტ.პაული-ოსნაბრიუკი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 20:00 | 154 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 16:00 | 155 | ნიურნბერგი-აუგსბურგი | 1.50 | 3.70 | 6.10 | 1.06 | 1.20 | 2.30 |
| 16:00 | 156 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 16:00 | 157 | ალენი-ფრანკფურტი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 16:00 | 158 | ინგოლშტადი-ფიურტი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 16:00 | 159 | კობლენცი-ობერჰაუზენი | 2.00 | 3.30 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |
| | | 18 აგვისტო | | | | | | |
| 22:15 | 160 | დუისბურგი-ჰანზა | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 19:45 | 172 | ვადუცი-სიონი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 18:00 | 173 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 174 | ლუცერნი-იანგ ბოიზი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 18:00 | 175 | ციურიხი-ბაზელი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 184 | კაენი-ვალენსიენი | 2.05 | 3.10 | 3.70 | 1.23 | 1.31 | 1.68 |
| 21:00 | 185 | ლილი-ლე მანი | 1.90 | 3.00 | 4.25 | 1.16 | 1.31 | 1.75 |
| 21:00 | 186 | ნანტი-მონაკო | 2.50 | 2.90 | 2.85 | 1.34 | 1.33 | 1.43 |
| 21:00 | 187 | ნიცა-ნანსი | 2.30 | 2.90 | 3.25 | 1.28 | 1.34 | 1.53 |
| 21:00 | 188 | სტ.ეტიენი-სოშო | 1.85 | 3.10 | 4.35 | 1.15 | 1.29 | 1.81 |
| 21:00 | 189 | ტულუზი-ლე ავრი | 2.15 | 3.00 | 3.45 | 1.25 | 1.32 | 1.60 |
| 23:00 | 190 | პსჟ-ბორდო | 2.45 | 2.90 | 2.95 | 1.32 | 1.33 | 1.46 |
| | | 17 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 191 | გრენობლი-რენი | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 18:00 | 192 | ლორიანი-ლიონი | 4.40 | 3.10 | 1.85 | 1.81 | 1.30 | 1.15 |
| 18:00 | 193 | მარსელი-ოსერი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
